უპირატესობა შედეგია ცოდნისა!

ცოდნისა

აუდიტური კონცერნი

სს „პსპ დაზღვევა“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2015 წლის 1 იანვარი - 2015 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი:

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა	3
სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	8

დამოუკიდებელ აუდიტორის დასკვნა

სს „პსპ დაზღვევის“ 2015 წლის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ

1. დამოუკიდებელი აუდიტორის – შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს მიერ ჩატარებული იქნა სს **„პსპ დაზღვევის“**-ს (შემდგომში – *კომპანია*) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად - *ჯგუფი*) 2015 წლის ფინანსური ანგარიშგების (თან ერთვის) აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავდა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 2015 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებას, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების ანგარიშგებას საანგარიშო პერიოდისათვის, სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს და განმარტებებს.

2. *ჯგუფის* ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების წარმოებაზე და მის სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: ადეკვატური შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებასა და იმპლემენტაციას, რომელიც არ უნდა შეიცავდეს არსებითი ხასიათის უზუსტობებს თაღლითობისა და/ან შეცდომების გამო. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვხატოთ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი დაიგეგმა და ჩატარდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ისეთი ფორმით, რომ დავრწმუნებულიყავით ბუღალტრული ანგარიშგების უტყუარობაში. აუდიტის პროცედურების შერჩევა დამოკიდებულია აუდიტორების მოსაზრებებზე და ხდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იქნას მატერიალური შეცდომების ან თაღლითობის შედეგად ანგარიშგების დამახინჯების რისკი. აუდიტი ასევე მოიცავს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობის და სააღრიცხვო ჩანაწერების სისწორის შეფასებას, ისევე როგორც ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენის შეფასებას. მიგვაჩნია, რომ ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესადგენად.

3. აუდიტორული შემოწმების შედეგების მიხედვით, სააქციო საზოგადოება **„პსპ დაზღვევის“** 2015 წლის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებდა ფინანსური ანგარიშგებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების *(IFRS)* მიხედვით. წარმოდგენილი 2015 წლის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყველა ძირითად ასპექტში სანდოდ და უტყუარად ასახავს *საწარმოს* ფინანსურ მდგომარეობას, შემოსავლებს და ხარჯებს, ფულადი სახსრების მოძრაობას 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ბოლოს მდგომარეობით.

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“-ს
გენერალური დირექტორი — გიორგი ცერცვაძე

12.04.2016 წ.

სს პსპ დაზღვევა

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრიდან – 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

შპს "პსპ დაზღვევა"

	შენიშვნა	2015	2014
მოზიდული სადაზღვევო პრემია		17 742 294	9 261 337
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში		(790 575)	6 097 199
გამომუშავებული პრემია:	4	*16 951 718*	*15 358 536*
სადაზღვევო ზარალები	5	(15 435 922)	(15 598 377)
მომხდარი მაგრამ განუხცადებელი ზარალის რეზერვი	5	(466 072)	(323 246)
ბროკერის და აგენტის საკომისიოს ხარჯები		(37 649)	(48 023)
სხვა შემოსაალი სადაზღვევო საქიანობიდან		330 794	443 451
მოგება (ზარალი) სადაზღვევო საქმიანობიდან:		*1 342 869*	*(167 659)*
შემოსავალი სამედიცინო საქმიანობიდან		-	553
სამედიცინო მომსახურების ხარჯები		(6 031)	(7 972)
ადმინისტრაციული ხარჯები	8	(2 866 797)	(2 632 645)
სულ საოპერაციო მოგება:		*(1 529 959)*	*(2 807 724)*
ფინანსური შემოსავალი	9	435 255	496 476
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობებიდან		602 441	141 846
გაუფასურების რეზერვის ხარჯი		(147 481)	(42 247)
სხვა ფასდაკლებები		(151 020)	(43 880)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		42 918	13 238
მოგება დაბეგვრამდე:		(747 845)	(2 242 291)
მოგების გადასახადი	10	(67 476)	(306 561)
პერიოდის მოგება (ზარალი)		**(680 369)**	**(1 935 730)**

დირექტორი ---------- *ვლადიმერ ბეჟაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ---------- *ნესტან ტყემალაძე*

სს პსპ დაზღვევა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	ბალანსი 01.01.2016	ბალანსი 01.01.2015
სულ მიმდინარე აქტივები:		**12 377 045**	**12 436 189**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11	6 701 532	6 765 784
მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან	12	5 419 932	5 158 725
სასაქონლო-მატერიალური მარაგი		26 529	40 337
სხვა მიმდინარე მოთხოვნები	13	138 173	145 641
წინასწარ გადახდილი გადასახადები		67 809	137 639
მისაღები პროცენტები	14	23 069	188 062
სულ გრძელვადიანი აქტივები		**1 158 285**	**1 235 551**
ძირითადი საშუალებები	15	240 552	228 037
არამატერიალური აქტივები	15	13 800	12 377
გადავადებული საგადასახადო აქტივი	16	903 934	839 767
მოთხოვნა საწესდებო კაპიტალის შევსებაზე		-	155 370
აქტივები სულ:		**13 535 330**	**13 671 740**
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**6 127 966**	**6 371 272**
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	17	1 465 304	1 196 054
მომხდარი მაგრამ განუცხადებელი ზარალის რეზერვი		466 072	323 246
განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი		4 155 201	4 703 781
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	18	41 389	148 190
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4 406 586**	**3 619 321**
გადავადებული შემოსავალი	19	4 406 586	3 619 321
ვალდებულებები სულ:		**10 534 552**	**9 990 593**
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	20	9 000 000	9 000 000
გაუნაწილებელი მოგება / (დაუფარავი ზარალი)		(5 999 222)	(5 318 853)
მ.შ მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)		(680 369)	(1 935 730)
კაპიტალი სულ:		**3 000 778**	**3 681 147**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		***13 535 330***	***13 671 740***

დირექტორი ---------- *ვლადიმერ ბეჟაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ---------- *ნესტან ტყემალაძე*

სს პსპ დაზღვევა

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2015 წლის 1 იანვრიდან – 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

	2015 წელი	2014 წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული სადაზღვევო პრემია	16 210 045	14 228 327
სამედიცინო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	-	553
შემოსავალი რეგრესიდან და გადარჩენილი ქონებიდან	196 013	100 624
ანაზღაურებული ზარალები	(15 084 223)	(13 066 757)
გადახდილი ხელფასები	(1 642 138)	(1 446 426)
აგენტებისთვის და ბროკერებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(54 235)	(44 082)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(455 933)	(508 558)
გადახდილი საიჯარო ქირა	(105 719)	(68 793)
გადახდილი გადასახადი, მოგების გადასახადის გარდა და ჯარიმები	(349 070)	(441 900)
გადახდილი მოგების გადასახადი	(26 800)	(4 000)
საქვეანგარიშო თანხები	(23)	(263)
სხვა შემოსულობანი	187 354	110 159
საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*(1 124 730)*	*(1 141 116)*
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა	(81 463)	(46 677)
ძირითადი საშუალებების და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი	900	
მიღებული პროცენტები	599 917	442 996
საინვესტიციო საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	*519 354*	*396 319*
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
შემოსულობანი აქციების ემისიისგან / კაპიტალის ზრდისგან	-	898 932
ფინანსური საქმიანობიდან ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი	-	*898 932*
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა (კლება)	541 125	128 867
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ნაზრდი:	*(64 252)*	*283 002*
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში:	*6 765 784*	*6 482 783*
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები პერიოდის ბოლოს:	6 701 533	6 765 784

დირექტორი ---------- *ვლადიმერ ბეჟაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ---------- *ნესტან ტყემალაძე*

სს პსპ დაზღვევა

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	დაგროვილი მოგება (ზარალი)	სულ
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 000 000	-	-	(3 383 123)	**5 616 877**
სააქციო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	-	-	-	-	
მიმდინარე პერიოდის მოგება (ზარალი)	-	-	-	(1 935 730)	(1 935 730)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 000 000	-	-	(5 318 853)	**3 681 147**
სააქციო კაპიტალის გაზრდა (შემცირება)	-	-	-	-	
საანგარიშო პერიოდის მოგება ან ზარალი	-	-	-	(680 369)	(680 369)
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	9 000 000	-	-	(5 999 222)	**3 000 778**

დირექტორი ---------- *ვლადიმერ ბეჟაშვილი*

მთავარი ბუღალტერი ---------- *ნესტან ტყემალაძე*

სს პსპ დაზღვევა

განმარტებითი შენიშვნები 2015 წლის 1 იანვრიდან – 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

1. ძირითადი ინფორმაცია

სს პსპ დაზღვევა (შემდგომში – კომპანია) დარეგისტრირებულია 2007 წლის 22 აგვისტოს ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო კოდი № 202408386, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, პუშკინის ქ. №3. მისი რეგისტრაცია ჩატარებულია *„მეწარმეთა შესახებ“* საქართველოს კანონის შესაბამისად. 2015 წლის 18 დეკემბერს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად შპს პსპ დაზღვევამ შეცვალა სამართლებლივი ფორმა და გახდა სს პსპ დაზღვევა. *კომპანია* დღგ-ის გადამხდელს არ წარმოადგენს. 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე კახაბერ ოქრიაშვილი, რომელიც ფლობს *კომპანიის* აქციების 100%-ს. კომპანიის სააქციო კაპიტალი შეადგენს 9000000 ლარს.

კომპანიის ძირითად საქმიანობაა ყველა ტიპის სადაზღვევო მომსახურება, გარდა გადაზღვევის მომსახურებისა.

შპს „ნიუ კლინიკა" (შემდგომში - შვილობილი კომპანია) წარმოადგენს დამფუძნებელი კომპანიის 100%-ით ფლობილ შვილობის კომპანიას. ეს კომპანია დამფუძნებელი კომპანიის მიერ დაარსებულ იქნა 2012 წლის 10 თებერვალს, იურიდიული მისამართით - საქართველო, ქ. თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზირი, ნომერი 150. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია - 404415753. კომპანიის დირექტორია ნინო კეკენაძე. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 32500 ლარს, რომლიდანაც შევსებულია - 23916,40 ლარი.

შპს „ნიუ კლინიკა"-ს ძირითადი საქმიანობაა სამედიცინო მომსახურება.

2. შვილობილი კომპანიები

სს პსპ დაზღვევა წარმოადგენს დამფუძნებელს, რომელიც მოიცავ ანგარიშგებაში კონსოლიდირებულ შემდეგ შვილობილ საწარმო(ებ)ს:

შვილობილი კომპანია	ქვეყანა	საწესდებო კაპიტალი	საქმიანობის სფერო	დაფუძნების თარიღი	
შპს „ნიუ კლინიკა“	საქართველო	32500 ლარი	სამეიდცინო მომსახურება	10.02.2012	100%

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

სს პსპ დაზღვევა 2015 კალენდარული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. *კომპანიას* მოეთხოვება ფინანსური ანგარიშგების წარმოება ქართულ ლარში ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. კომპანიის ერთადერთ შვილობილ კომპანიას, რომელიც შედის კონსოლიდაციაში, სააღრიცხვო წელი უმთავრდება ისევე როგორც დედა კომპანიას - 31 დეკემბერს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვებაზე, რომ ჯგუფი თავის ფუნქციონირებას განაგრძობს, როგორც „ფუნქიონირებადი საწარმო“.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად აუცილებელია რომ ჯგუფის მენეჯმენტმა მოახდინოს შეფასებები და გააკეთოს გარკვეული დაშვებები, რომლებიც მომავალში იმოქმედებენ სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე, შემოსავლების ოდენობაზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე, ასევე მათ ასახვაზე ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს დაშვებები და შეფასებები დაფუძნებული იქნება ჯგუფის გამოცდილებაზე და სხვადასხვა ფაქტორებზე, რომლებიც გონივრულად წარმოისახებიან სიტუაციიდან გამომდინარე.

კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ქართული ლარის სიზუსტით, იმის გამო, რომ კომპანიის ოპერაციების უმრავლესობა წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. სხვა ვალუტებში წარმოდგენილი ოპერაციები განიხილება როგორც უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანია წარადგენს ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას საბალანსო მუხლების ლიკვიდობის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

3.1 კონსოლიდაციის საფუძვლები

შვილობილი საწარმოები (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შვილობილი კომპანიები აკმაყოფილებენ გასაყიდად გამიზნული კლასიფიცირების კრიტერიუმებს) წარმოადგენენ ისეთ კომპანიებს, რომლებშიც ჯგუფი პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს ნახევარზე მეტ ხმებს ან უფლება აქვს სარგებლის მიღების მიზნით მართოს ისინი, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც ასეთი საკუთრება აშკარად არ გულისხმობს კონტროლს. შვილობილი კომპანიების კონსოლიდაცია ხდება იმ მომენტიდან, როცა ჯგუფი მოიპოვებს მათზე კონტროლს და წყდება მას შემდეგ რაც ჯგუფი დაკარგავს კონტროლს.

3.2. ფულადი ნაკადები

კომპანია წარმოადგენს ფულად ნაკადებს სადაზღვევო პოლისების/ხელშეკრულებების გაყიდვიდან და გადაზღვევის კონტრაქტების შესყიდვიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), როგორც საოპერაციო ფულად ნაკადებს, ვინაიდან კომპანიის საქმიანობა სწორედ სადაზღვევო საქმიანობაა.

3.3. სადაზღვევო ხელშეკრულებები და სადაზღვევო შემოსავლების აღიარება

სადაზღვევო ხელშეკრულებები/პოლისები განისაზღვრება როგორც ხელშეკრულებები/პოლისები, რომლებიც მოიცავენ მნიშვნელოვან სადაზღვევო რისკს ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტიდან, ან ხელშეკრულების/პოლისის ამოქმედების მომენტში სადაზღვევო რისკი შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. სადაზღვევო რისკი დამოკიდებულია დაზღვეული შემთხვევის ალბათობაზე და მისი სამომავლო შედეგის მოცულობაზე. მას შემდეგ რაც ხელშეკრულება აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულებად, ის განიხილება სადაზღვევო ხელშეკრულებად მისი დარჩენილი მოქმედების პერიოდის განმავლობაში (თუკი არ მოხდება მისი გაუქმება/ანულირება), იმ შემთხვევაშიც კი თუ სადაზღვევო რისკი მკვეთრად შემცირდება.

კომპანია გამოიმუშავებს თავის შემოსავალს სხვადასხვა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით. კომპანია სადაზღვევო ხელშეკრულებებიდან/პოლისებიდან მიღებულ შემოსავალს აღიარებს გამომუშავებულ შემოსავლად იმ პერიოდის შესაბამისად რა პერიოდზეც განსაზღვრულია სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისისა თუ საბანკო გარანტიის მოქმედება. პოლისის და საბანკო გარანტიის გაცემისთანავე კომპანია სადაზღვევო პრემიის (საბანკო გარანტიის საზღაურის) სრულ თანხას აღიარებს როგორც მოზიდულ შემოსავალს, ხოლო შემდგომ ახდენს ამ შემოსავლის თანაბარ გადანაწილებას შესაბამის პერიოდებზე (დღეებზე).

3.4. სხვა შემოსავალი

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

3.5. სხვა არასადაზღვევო ხარჯები

კომპანია აღიარებს სხვა არასადაზღვევო ხარჯებს მათი მოხდენისთანავე და ახორციელებს ამ ხარჯების მიკუთვნებას იმ საანგარიშო პერიოდზე რა პერიოდსაც ისინი მიეკუთვნებიან.

3.6. გადავადებული შემოსავალი

კომპანია ახდენს მომავალი პერიოდების შემოსავალების გადავადებას და ასახავს მათ ბალანსში. სადაზღვევო პრემიების ის ნაწილი, რომელიც შემდგომ პერიოდებს განეკუთვნება, გადავადებულია, როგორც გამოუმუშავებელი პრემია. გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვის ცვლილება ასახულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმგვარად, რომ ამონაგები აღიარებულია რისკის პერიოდში, ან მოსალოდნელი სამომავლო სარგებლის პროპორციულად.

3.7. სადაზღვევო რეზერვები

სადაზღვევო რეზერვების ფორმირების წესს არეგულირებს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახური. 2015 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიას გააჩნდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამივე რეზერვი: გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვი, განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალების რეზერვი და მომხდარი, მაგრამ განუცხადებელი ზარალების რეზერვი.

კომპანიის განცხადებული, მაგრამ დაურეგულირებელი ზარალის რეზერვი შედგება ორი ნაწილისგან: რეზერვის ის ნაწილი, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის კომპანიაში შემოვიდა საბუთის (ინვოისის) საფუძველზე; რეზერვის ის ნაწილი, რომლის ოდენობა არ არის დადასტურებული საგადასახადო საბუთით, მაგრამ რომლის ოდენობის სანდო შეფასება შესაძლებელია.

3.8. ანარიცხები

ანარიცხები ბალანსში ტარდება იმ შემთხვევაში, თუ წარსული გარემოებების შედეგად კომპანიას აქვს იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებელის გასვლა აღნიშნული ვალდებულების დასაფარავად.

3.9. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ნაღდი ფული სალაროში, ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე და ფული განთავსებული საბანკო დეპოზიტებზე.

3.10. მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

დაზღვევის და გადაზღვევის მოთხოვნები აღიარდება სადაზღვევო ხელშეკრულების/პოლისის/გადაზღვევის კონტრაქტების პირობებზე დაყრდნობით და განისაზღვრება სახელშეკრულებო/საკონტრაქტო თანხით (ღირებულებით). სადაზღვევო მოთხოვნების საბალანსო ღირებულების გაუფასურებასთან მიმართებაში გადახედვა ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები და გარემოებები მიანიშნებენ იმას, რომ შესაძლებელია ვერ მოხერხდეს საბალანსო ღირებულების აღდგენა. გაუფასურების ზარალი აღიარდება კომპანიის სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

გადაზღვევის მოთხოვნები მოიცავს გადაცემულ სადაზღვევო ვალდებულებებისათვის სადაზღვევო და გადამზღვევი კომპანიებისგან მისაღებ ნაშთებს. ნაკისრი გადაზღვევის პრემიების აღიარება ხდება იმავე წესით, როგორც პირდაპირ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლისა. გადამზღვევლისთვის გადახდილი თანხები აღიარდება გადაზღვევის კონტრაქტების/პოლისების მიხედვით.

გაუფასურების ანალიზი ხორციელდება ყველა გადაზღვეულ აქტივზე, როდესაც ჩნდება გაუფასურების საშიშროება. გადაზღვევის მოთხოვნების გაუფასურება ხდება მაშინ, თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ ჯგუფმა შეიძლება ვერ მიიღოს მისთვის გადასახდელი ყველა თანხა გადაზღვევის კონტრაქტის პირობების შესაბამისად და ამის შეფასება სანდოდ არის შესაძლებელი.

სხვა მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა სხვა დანარჩენ მიმდინარე მოთხოვნებს არასადაზღვევო მოთხოვნების, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სადაზღვევო და სხვა მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

3.11. ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბუღალტრული აღრიცხვის 39-ე საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულების მქონე ფინანსურ აქტივებად მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ვადიან ინვესტიციებად, ან გასაყიდად არსებულ ფინანსურ აქტივებად. თავდაპირველად, ფინანსური აქტივები აღირიცხება საბაზრო ღირებულებით, ამასთან, ისეთ შემთხვევაში, თუ ინვესტირება მოხდა არასაბაზრო ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, მათ სამართლიან ღირებულებას ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები. კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარების დროს. კლასიფიკაცია დამოკიდებულია ინვესტიციის შეძენის ან წარმოქმნის მიზანზე. საერთოდ, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით მოგების ან ზარალის გავლით, რადგან ჯგუფის სტრატეგიას წარმოადგენს მართოს ფინანსური აქტივები, რომლებიც შეიძინა მისი სადაზღვევო და საინვესტიციო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების დასაფარად, იმავე საფუძველზე, სამართლიანი ღირებულებით. გასაყიდად არსებული და ვადამდე ფლობილი კატეგორიები გამოიყენება მაშინ, როდესაც შესაბამისი ვალდებულება იმართება პასიურად და/ან აისახება ამორტიზებული ღირებულებით. როგორც წესი, ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ჯგუფი შეისყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები ისეთი ოპერაციებია, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით განსაზღვრულ ან ბაზარზე დადგენილ პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული თუ განსაზღვრადი გადასახადი და რომელთა კოტირება არ ხდება ბაზარზე. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. გარიგებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი შედის ინვესტიციის ღირებულებაში. მოგებისა და ზარალის აღიარება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერის ან გაუფასურების, აგრეთვე ცვეთის პროცესში.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ასახვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება მაშინ, როდესაც არსებობს თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვამოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა. შემოსავალი და ხარჯი არგაიქვითება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ეს არ არის მოთხოვნილი ან ნებადართული რომელიმე საბუღალტრო სტანდარტით ან ინტერპრეტაციით.

3.12. ძირითადი საშუალებები

ჯგუფი ძირითად საშუალებებს აღრიცხავს ისტორიული (პირველადი) ღირებულებით ცვეთის გათვალისწინებით. პირველადი ღირებულება შეიცავ ხარჯებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ამ ძირითადი საშუალებების შეძენასთან, შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარებულია ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ალბათობა იმისა, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი წარიმართება ჯგუფისკენ და აქტივის ღირებულების გამოთვლა შესაძლებელია. რემონტთან და ტექნიკურ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა სხვა დანახარჯი აისახება შესაბამის პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშში.

ძირითადი საშუალებების ცვეთის გამოანგარიშება ხდება მათი პირველადი ან გადაფასებული ღირებულების სალიკვიდაციო ღირებულებამდე თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით მათი სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში, კერძოდ:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი - 10 წელი;

- კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები - 5 წელი.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება, ან ის მზადაა ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

ძირითადი საშუალებები საბალანსო ღირებულებების გადახედვა გაუფასურებასთან მიმართბეაში ხორციელდება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების გადაფასების ნებისმიერი მეტობა ემატება კაპიტალში ჩართული ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვს, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ის ახდენს იმ აქტივის გადაფასების კლების უკუქცევას, რომელიც უწინ აღიარებული იყო სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ამ შემთხვევაში ზრდა აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გადაფასების დეფიციტის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც დეფიციტი, რომელიც პირდაპირ აბათილებს იმავე აქტივის მეტობას, ბათილდება ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვის მეტობით.

ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვიდან გაუნაწილებელ მოგებაში ასახვა ხორციელდება გადაფასებული საბალანსო ღირებულების საფუძველზე გამოთვლილ ცვეთასა და თავდაპირველ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილ ცვეთას შორის სხვაობისათვის. ამასთან გადაფასების დღისთვის აკუმულირებული ცვეთა იქვითება აქტივის მთლიან საბალანსო

ღირებულებასთან მიმართებაში და გადაფასებული აქტივი ხელახლა აისახება წმინდა ღირებულებით. გადაცემისას კონკრეტულ გაყიდულ აქტივთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაფასების რეზერვი გადაიტანება გაუნაწილებელ მოგებაზე.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

3.13. არამატერიალური აქტივები

ლიცენზიები

ლიცენზიები ასახული თავდაპირველი ღირებულებით. ლიცენზიებს აქვთ შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა და აღირიცხებიან თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით. ამორტიზაციის გამოანგარიშება ხდება ღირებულების თანაბრად ჩამოწერის მეშვეობით სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15%, 6, 7 წელი).

კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა

შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენასა და მონტაჟზე გაწეული დანახარჯების მიხედვით. ამ დანახარჯების ამორტიზაცია ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში (15%, 6, 7 წელი). კომპიუტერული პროგრამების შემუშავებასა და მხარდაჭერაზე გაწეული დანახარჯები გათვალისწინებულია ხარჯებში მათი წარმოქმნის მიხედვით. დანახარჯები რომლებიც პირდაპირ არიან დაკავშირებული ცალკე აღებული ინდივიდუალური პროგრამული პროდუქტის შემუშავებასთან, რომელსაც ჯგუფი გააკონტროლებს და რომლის გამოყენებიდანაც, სავარაუდოდ 1 წელზე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე მიღებული იქნება შემოსავალი, რომელიც გადააჭარბებს თვითღირებულებას, ღირიცხება არამატერიალური აქტივების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების დანახარჯები შეიცავს პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების სპეციალისტების შრომის ანაზღაურებას და გადანაწილებადი ზედნადები ხარჯების შესაბამის ნაწილს.

3.14. სადაზღვევო ვალდებულებები

ზოგადი სადაზღვევო ვალდებულებები მოიცავს დასაფარი მოთხოვნების რეზერვს, გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვს და პრემიის უკმარისობის რეზერვს. ზოგადი სახელშეკრულებო/საკონტრაქტო ვალდებულებები ეფუძნება ყველა იმ მოთხოვნის განსაზღვრულ საბოლოო ღირებულებას, რომლებიც წარმოშობილ იქნა, მაგრამ არ იქნა დაკმაყოფილებული საანგარიშგებო თარიღისათვის, იმისდა მიუხედავად, მოხდა თუ არა მათი გაცხადება. ამას ემატება მოთხოვნათა დაკმაყოფილების ხარჯები.

ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გაცვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას. რეზერვის აღიარება ხდება ხელშეკრულების ძალაში შესვლისას და პრემიის დარიცხვისას და აღირიცხება, როგორც შემოსავალი პრემიიდან ხელშეკრულების პერიოდში, ხელშეკრულების სადაზღვევო სქემის შესაბამისად. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განიხილავს მის მიმდინარე რისკს და ვალდებულების ადეკვატურობის ტესტით განსაზღვრავს მოსალოდნელი მოთხოვნების და გადავადებული შესყიდვის ხარჯების მეტობას გამოუმუშავებელ პრემიასთან მიმართებაში.

3.15. მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები წარმოადგენენ მოწოდებულ საქონელზე/გაწეულ მომსახურებაზე დარიცხულ ვალდებულებებს.

3.15. გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადების ხარჯებს. მოგების გადასახადის ის ნაწილი, რომელიც პირდაპირ კაპიტალს ეხება აისახება პირდაპირ კაპიტალის მუხლებში.

კომპანიის მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საგადასახადო მოგების და მოქმედი გადასახადის განაკვეთის გამოყენებით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საბალანსო ვალდებულებების მეთოდით ყველა იმ დროებითი სხვაობების გათვალისწინებით, რომლებშიც წარმოიქმნება ფინანსური აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტებით გამოთვლილ აქტივსა (ვალდებულებებსა) და საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით გამოთვლილს აქტივებს (ვალდებულებებს) შორის. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ბასს) №12-ის გადავადებული გადასახადები გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთების გათვალისწინებით, რომლებიც მოქმედებს ან იმოქმედებს იმ პერიოდში, როდესაც კომპანიას დაუდგემა გადავადებული აქტივის (ვალდებულების) გამოყენების დრო. ამის გარდა, თუ იარსებებს, რაიმე სარგებელი კომპანიის საგადასახადო ზარალებიდან, რომელთა გადატანა შესაძლებელია მომავალ პერიოდებზე, ეს სარგებელი (გადავადებული აქტივი) ასევე ჩაირთვება გადავადებული გადასახადების კალკულაციებში.

გადავადებული გადასახადების დათვლა არ ხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ცნობილია რომ ამ გადასახადების სარგებლის გამოყენება ვერ მოხერხდება.

2015 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15% შეადგენდა.

3.16. ვალუტის კონვერტაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას. უცხოური ვალუტის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) სავალუტო გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასებით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი (საკურსო სხვაობა), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოგების ან ზარალის აღიარება ხდება პირდაპირ კაპიტალში ვალუტის გადაცვლის კომპონენტის გამოკლებით. არაფულადი მუხლები, რომლებიც ისტორიული ღირებულების თვალსაზრისით აღიარებულია უცხოურ ვალუტაში, გადაიყვანება თავდაპირველი ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლითი კურსის გამოყენებით. სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული არამონეტარული მუხლების კონვერტაცია ხდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი სავალუტი გაცვლითი კურსის გამოყენებით. სხვაობები ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს არსებულ სებ-ის სავალუტო გაცვლით კურსს შორის ჩართულია ოპერაციებში, როგორც უცხოური ვალუტით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი.

31.12.2014 -	USD 1 = 1.8636 GEL,	EUR 1 = 2.2656 GEL,
31.12.2015 -	USD 1 = 2.3949 GEL,	EUR 1 = 2.6169 GEL.

4. გამომუშავებული ნეტო სადაზღვევო პრემია

2015 წლების განმავლობაში კომპანიამ მიიღო შემოსავალი შემდეგი სახის სადაზღვევო ხელშეკრულებების/პოლისების გაყიდვით:

	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)	2015 (ლარი)
	სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა	პასუხისმგებლობის დაზღვევა	სამოგზაურო დაზღვევა	ვალდებულებატ ა შესრულების დაზღვევა	სიცოცხლის დაზღვევა	დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	სულ
მოზიდული ჯამური პრემია	14 034 766	725 175	8 000	1 123 068	3 911	1 488 660	358 714	17 742 294
ცვლილება გამოუმუშავებელი პრემიის რეზერვში	(686 777)	29 963	(337)	(33 896)	(1 026)	(71 456)	(27 047)	(790 575)
გამომუშავებული პრემია	13 347 989	755 138	7 663	1 089 172	2 885	1 417 204	331 667	16 951 718

5. სადაზღვევო ზარალები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
ჯამრთელობის დაზღვევა	15 120 099	13 540 916
სიცოცხლის დაზრვევა	233 178	175 396
ავტო დაზღვევა	530 338	2 178 959
სხვა დაზღვევა	18 379	26 352
	15 901 994	**15 921 624**

6. სხვა შემოსავალი სადაზღვევო საქმიანობიდან

კომპანიის სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან შეადგენდა 330794 ლარს 2015 წლის მდგომარეობით. სხვა შემოსავლები სადაზღვევო საქმიანობიდან საანგარიშგებო

პერიოდში წარმოადგენდა შემოსავლებს გადარჩენილი ქონებიდან 91324 ლარი, და რეგრესიდან მიღებული შემოსავალი 239470 ლარი.

7. ბროკერების და აგენტების საკომისიოს ხარჯები

საანგარიშო პერიოდში კომპანიის საკომისიო ხარჯებს ძირითადად წარმოადგენდა სადაზღვევო კონტრაქტების მოზიდვასთან დაკავშირებული ბროკერებისა და აგენტებისათვის გადახდილი ანაზღაურება. საკომისიო ხარჯები, როგორც წესი, წარმოადგენენ ფიქსირებულ გადასახადებს რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ახალი სადაზღვევო კონტრაქტების (პოლისების) მოზიდვასთან კომპანიაში. მათი აღირცხვა ხდება სისტემატურად მომსახურების უშუალოდ მიღების პერიოდებში.

8. ადმინისტრაციული ხარჯები

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
შრომის ანაზღაურება	2 027 008	1 951 673
იჯარა	257 042	197 395
მარკეტინგის ხარჯი	4 956	78 166
საკანცელარიო ხარჯები	66 938	42 539
საოფისე ინვენტარის ხარჯები	46 566	37 513
საგადასახადო ხარჯები	2 059	2 184
საბანკო ხარჯები	21 826	29 129
საკონსულტაციო ხარჯი	49 909	22 961
ცვეთა და ამორტიზაცია	82 302	70 447
წარმომადგენლობითი ხარჯები	18 183	253
ოჯახის ექიმების მომსახურების ხარჯები	29 508	27 795
სხვა ხარჯი	260 499	172 590
	2 866 797	2 632 645

9. ფინანსური შემოსავალი

კომპანიამ 2015 წლის განმავლობაში, ისევე როგორც 2014 წელს ხუთ სხვადასხვა ბანკში – სს „საქართველოს ბანკში“, სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“,

სს „ბანკი რესპუბლიკა“ და სს „ლიბერთი ბანკი“ –განათავსა საკუთარი ფულადი სახსრები. კომპანიის 2015 წლის ფინანსურ შემოსავალი წარმოადგენდა ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან და მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ მიღებულ შემოსავალს – 435255 ლარს.

ვინაიდან, კომპანია წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს, მის მიერ მიღებული საპროცენტო შემოსავალი სხვა ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით.

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
ბანკი რესპუბლიკა	162 874	170 825
ლიბერთი ბანკი	165 555	157 187
ვითიბი ბანკი	8 776	6 999
პროკრედიტ ბანკი	35 071	60 544
საქართველოს ბანკი	62 980	100 922
	435 255	496 476

10. მოგების გადასახდის ხარჯი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება:

	2015 წელი	2014 წელი
სს „პსპ დაზღვევა“	(50 794)	(319 454)
შპს „ნიუ კლინიკა“	(16 683)	12 893
სულ მოგების გადასახადის ხარჯი:	(67 476)	(306 561)

მოგების გადასახდის ხარჯების სტრუქტურა ჯგუფში შემავალი კომპანიების მიხედვით შემდეგია:

სს „პსპ დაზღვევის“ მოგების გადასახდის ხარჯების სტრუქტურა:

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)	2013 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(657 268.35)	(2 311 773.62)	452 870
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%	15%	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(98 590)	(346 766)	67 931
გამოუქვითავი ხარჯებით გამოწვეული ცვლილება	47 797	27 312	(43 484)
დამატებითი მოგება გადასახადის მიზნებისათვის			
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(50 794)	(319 454)	24 447

შპს „ნიუ კლინიკის“ მოგების მოგების გადასახდის ხარჯების სტრუქტურა:

	2015 წელი (ლარი)	2014 წელი (ლარი)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(90 577.09)	69 482
მოგების გადასახადის ეფექტური პროცენტი	15%	15%
ფინანსური მოგების გადასახადი	(13 587)	10 422
გამოუქვითავი ხარჯებით გამოწვეული ცვლილება	(3 096)	2 471
დამატებითი მოგება გადასახადის მიზნებისათვის		
მოგების გადასახადის შემოსავალი (ხარჯი)	(16 683)	12 893

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
ნაღდი ფული სალაროში	14 324	34 056
მიმდინარე საბანკო ანგარიშები	1 561 798	872 488
დეპოზიტები	5 125 410	5 859 240
	6 701 532	6 765 784

12. მიმდინარე მოთხოვნები სადაზღვევო საქმიანობიდან

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება ჯანმრთელობის, სიცოცხლის, ავტომობილების, ვალდებულებათა შესრულებისა და სხვა დაზღვევიდან, სულ 5419932 ლარის ოდენობით.

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
სადაზღვევო მოთხოვნები	5 708 230	5 299 542
სადაზღვევო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(288 298)	(140 817)
	5 419 932	5 158 725

13. სხვა მიმდინარე მოთხოვნები

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	91 453	91 453
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის წინაშე	1 651	7 745
გადავადებული საკომისიო ხარჯი	4 386	26 732
სხვა მიმდინარე აქტივები	40 683	19 711
	138 173	**145 641**

14. მისაღები პროცენტები ბანკში განთავსებული დეპოზიტებიდან

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან მისაღები ჰქონდა დარიცხული პროცენტები შემდეგი სტრუქტურით:

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
ლიბერთი ბანკი	9 621	6 865
საქართველოს ბანკი	567	4 958
ბანკი რესპუბლიკა	11 171	175 565
პროკრედიტ ბანკი	1 710	121
ვითიბი ბანკი ჯორჯია	-	552
	23 069	188 062

15. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

	ოფისის აღჭურვილობა (GEL)	კომპიუტერები და კომუნიკაციის საშუალებები (GEL)	მანქანა-დანადგარები (GEL)	სხვა ძირითადი საშუალებები (GEL)	არამატერიალური აქტივები (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	167 032	235 078	1 711	13 241	23 534	**440 595**
დამატება	27 509	57 950	-	-	11 138	**96 597**
შემცირება	-	4 287	-	-	-	**4 287**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**194 541**	**288 741**	**1 711**	**13 241**	**34 672**	**532 905**
					13 800	
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება						
ნაშთი 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	56 108	128 630	914	3 373	11 157	**200 182**
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	22 698	49 547	342	-	9 715	**82 302**
ჩამოწერა	-	3 930	-	-	-	**3 930**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	**78 806**	**174 247**	**1 257**	**3 373**	**20 872**	**278 554**

16. გადავადებული საგადასახადო აქტივი

გადავადებული საგადასახადო აქტივი შედგება

	2015 წელი	2014 წელი
სს „პსპ დაზღვევა“	890 561	839 767
შპს „ნიუ კლინიკა“	13 372	(3 310)
სულ გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება):	**903 934**	**836 457**

სს „პსპ დაზღვევის“ გადავადებული საგადასახადო აქტივის სტრუქტურა:

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2015					
ძირითადი საშუალებები	205 752		(205 752)	15%	(30 863)
არამატერიალური აქტივები	13 800	24 513	10 713	15%	1 607
საგადასახადო ზარალი		6 132 115	6 132 115	15%	919 817
სულ	**219 552**	**6 156 627**	**5 937 075**		**890 561**

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2014					
ძირითადი საშუალებები	205 967		(205 967)	15%	(30 895)
არამატერიალური აქტივები	12 377	14 226	1 849	15%	277
საგადასახადო ზარალი		5 802 567	5 802 567	15%	870 385
სულ	**218 344**	**5 816 793**	**5 598 449**		**839 767**

შპს „ნიუ კლინიკის“ გადავადებული საგადასახადო აქტივის სტრუქტურა:

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2015					
ძირითადი საშუალებები	34 799		(34 799)	15%	(5 220)
არამატერიალური აქტივები			-	15%	-
საგადასახადო ზარალი		123949.22	123 949	15%	18 592
სულ	**34 799**	**123 949**	**89 150**		**13 372**

	ნარჩენი ღირებულება (ფინანსური)	*ნარჩენი ღირებულება (საგადასახადო)*	*დროებითი სხვაობები*	*მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი*	*მოგების გადასახადი აქტივი (ვალდებულება)*
2014					
ძირითადი საშუალებები	22 070		(22 070)	15%	(3 310)
არამატერიალური აქტივები			-	15%	-
საგადასახადო ზარალი			-	15%	-
სულ	**22 070**	**-**	**(22 070)**		**(3 310)**

17. მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი მოკლევადიანი ვალდებულებები - 1 465 304 ლარის ოდენობით წარმოადგენდნენ 2015 წელს დარიცხულ, მაგრამ წლის ბოლოსთვის ჯერ გადაუხდელ საერთო ადმინისტრაციულ ხარჯების ვალდებულებას. ამ თანხიდან 642 000 ლარს წარმოადგენს შპს „პსპ ფარმას“-ს კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოადგენს 2010-2015 წლის განმავლობაში კომპანიის საიჯარო ვალდებულებას, ხოლო პროვაიდერ კლინიკებთან კრედიტორული დავალიანების ურთიერთგამოქვითვის საფუძველზე წარმოშობილი დავალიენებებია: შპს „პსპ ფარმას“ მიმართ - 115 244 ლარი და შპს „პსპ აფთიაქის“ მიმართ - 671 870 ლარი.

18. სხვა მიმდინარე ვალდებულებები

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
გადასახდელი გადასახადები	26	4 476
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	96	15
გადასახდელი ხელფასები	11	62 115
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	309	766
აგენტის მომსახურება	26 562	30 929
საბროკერო მომსახურება	14 386	49 888
	41 389	**148 190**

19. გადავადებული შემოსავალი

	ნაშთი 01.01.2016 (ლარი)	ნაშთი 01.01.2015 (ლარი)
გადავადებული შემოსავალი სამედიცინო (ჯანმრთელობის) დაზღვევა	3 491 581	2 804 804
გადავადებული შემოსავალი სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებათა დაზღვევა (გარდა სარკინიგზო ტრანსპორტისა)	223 186	253 150
გადავადებული შემოსავალი სახმელეთო ტრანსპორტის გამოყენებასთან დაკავშირებული სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევა	27 505	27 168
გადავადებული შემოსავალი ვალდებულებათა შესრულების დაზღვევა	1 026	-
გადავადებული შემოსავალი სამოგზაურო დაზღვევა	178 006	144 110
გადავადებული შემოსავალი სიცოცხლის დაზღვევა	212 518	141 062
გადავადებული შემოსავალი დაზღვევა უბედური შემთხვევებისაგან	272 765	245 717
	4 406 587	**3 616 011**

20. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის გამოცხადებული საწესდებო კაპიტალი უდრის 9 000 000 ლარს, რომლიდანაც შევსებულია 9 000 000 ლარი. 2015 წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა.

21. ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებული თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმის გათვალისწინებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი, რაც იმას გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.